ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია

2800 ლანჩხუთი, კოსტავას 37 599745511

N 157
02/04/2018

157-07-3-201804021544

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

მოხსენებითი ბარათი

ბატონო ბესიკ,

წარმოგიდგენთ, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის **2018** წლის **28** მარტის სხდომის ოქმს N4, კომისიის დასკვნას, კომისიის წევრების სარეგისტრაციო ფურცელს.

დანართი: ოქმი -2 (ორი) ფურცელი.
დასკვნა -1 (ერთი) ფურცელი
სარეგისტრაციო - 1(ერთი) ფურცელი

პატივისცემით,

გიორგი გვარჯალაძე

კომისიის თავმჯდომარე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასრუქტურის კომისიის

სხდომის ოქმი N4

ქ. ლანჩხუთი

28.03.2018 წ
12.00 საათი

სხდომას ესწრებოდა: საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე **გიორგი გვარჯალაძე.**

კომისიის წევრები: კახა ბოლქვაძე, ოთარ პატიეშვილი, ზაზა წულაძე, რეზო კვაჭაძე, კახა თედორაძე, ბესიკ კუპრაძე, აკაკი იმნაიშვილი, ცისანა ურუშაძე, იოსებ ჩხაიძე, ირაკლი მარშანიშვილი.

სხდომას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ლელა ჩახვაძე, ამირან ქანთარია, ელისო ჭიჭინაძე, სპარტაკ კვაჭაძე, ემზარ თევდორაძე.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდა: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ბესიკ ტაბიძე.**

მოწვეული სტუმარი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი **ლევან ჩხაიძე.**

კომისიის თავმჯდომარემ, გიორგი გვარჯალაძემ, სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2018 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების განხილვის თაობაზე.

/მომხსენებელი: გიორგი გვარჯალაძე/

2. სხვადასხვა.

კომისიის თავმჯდომარემ, გიორგი გვარჯალაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს: მომხრე 11; წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი გვარჯალაძემ** კომისიას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2018 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ“

1.ღრმაღელე წყალწმინდის შემოვლითი (ძველი) გზის რეაბილიტაცია.

2.ნიგვზიანის ადმინისტრაციულ ერთეულში ეგნატე ნინოშვილის სახლ-მუზეუმთან მისასვლელი გზების აღდგენა.

დეპუტატმა **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა,რომ ხიდი, რომელიც მდებარეობს მდინარე სუფსაზე ხანდაზმულია საჭიროებს რეაბილიტაციას.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა **ლევან ჩხაიძემ,** განაცხადა,რომ მოწვეული იქნება კომპეტენტური სპეციალისტები და მათი დასკვნის შემდგომ გადაწყდება ხიდის რეაბილიტაციი საკითხი.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2018 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

კომისიის თავმჯდომარემ, გიორგი გვარჯალაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს;

მომხრე 11; წინააღმდეგი არცერთი.

2. სხვადასხვა.

1. დეპუტატმა **ბესიკ კუპრაძემ** აღნიშნა, რომ სასაფლაოსთან მისასვლელი გზა მოსაწესრიგებელია.

2. დეპუტატმა **ირაკლი მარშანიშვილმა** განაცხადა, რომ თითქმის ერთი წელია რაც ჩოჩხათის თემში წყლით მომარაგების პრობლემა დგას, მოსახლეობა ითხოვს მის მოწესრიგებას.

3. დეპუტატმა **ცისანა ურუშაძემ** აღნიშნა, რომ გვიმბალაურის ადმინისტრაციულ ერთეულში, კერძოდ ჯაბელის უბანში თვეებია მოსახლეობა ვერ ღებულობს წყალს. მიზეზი კი წყლის საქჩის უვარგისობაა. ასევე მან განაცხადა, რომ გვიმბალაურის ტერიტორიაზე (კერძოდ ჯაბელთან) მისასვლელი გზა მოსაწესრიგებელია.

4. საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** განაცხადა, ლანჩხუთის „ევგრაფი შევარდნაძის“ სახელობის სტადიონთან მისასვლელი გზა და სანიაღვრე არხი მოსაწყობია. ასევე სოფელ ნიგვზიანში, წყლის მიწოდების პრობლემაა, საქაჩი გენერატორის დაზიანების გამო.

5. დეპუტატმა **ზაზა წულაძემ** განაცხადა, რომ სოფელ ჭყონაგორაში წყლის სათავე ნაგებობა საჭიროებს მოწესრიგებას.

6. კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი გვარჯალაძემ** აღნიშნა, რომ ქალაქში, მდინარაძის გარკვეული ნაწილი, ბესიკის, გვარჯალაძის და ჭავჭავაძის ქუჩებზე აუცილებელია ასფალტის საფარის გაკეთება.

7. დეპუტატმა **აკაკი იმანიშვილმა** აღნიშნა, რომ სოფელ შუხუთში გადადგილდება მძიმე წონიანი მანქანები (ემსახურებიან ავტობანის მშნებლობას), ამის გამო სოფლის საბალახოზე მდებარე ხიდი ჩაიმტვრა და სასწრაფოდ საჭიროებს აღდგენას. ასევე აუცილებელია მოიძებნოს ალტერნატიული გზა, ინერტული მასალის გადასაზიდად, მოსახლეობა უკმაყოფილოა, ზიანდება ასფალტის საფარი.

ამით კომისიამ მუშაობა დაასრულა.

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული

დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის

კომისიის თავმჯდომარე: /**გიორგი გვარჯალაძე**/

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია

2800 ლანჩხუთი, კოსტავას 37 0 494 22 30 19

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის

სხდომის დასკვნა N4

ქ.ლანჩხუთი 28.03.2018წ.

2018 წლის 28 მარტს მოწვეული იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2018 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების განხილვის თაობაზე.

2. სხვადასხვა.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხზე კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა სხდომამ მიიღო გადაწყვეტილება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2018 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი წარმოდგენილი სახით გადაეცეს საკრებულოს სხდომას განსახილველად.

სივრცით-ტერიტორიული

დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის

კომისიის თავმჯდომარე: გიორგი გვარჯალაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სარეგისტრაციო ფურცელი.

სარეგისტრაციო ფურცელი

28.03.2018 წ.

	სახელი, გვარი	ხელმოწერა
1.	გიორგი გვარჯალაძე	
2.	ცისანა ურუშაძე	
3.	კახა ბოლქვაძე	
4.	ბესიკ კუპრაძე	
5.	ოთარ პატიეშვილი	
6.	სპარტაკ კვაჭაძე	
7.	ლელა ჩახვაძე	
8.	ზაზა წულაძე	
9.	რეზო კვაჭაძე	
10.	კახა თედორაძე	
11.	იოსებ ჩხაიძე	
12.	ამირან ქანთარია	
13.	აკაკი იმნაიშვილი	
14.	ელისო ჭიჭინაძე	
15.	ირაკლი მარშანიშვილი	
16.	ემზარ თევდორაძე	